საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 258 (20299) — სამშაბათი, 8 ნოემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

გაიზრდება წარმოების მოცულობა

ზესტაფონი. ზესტაფონის კვების პროდუქტების საღებავების ქარხანაში წლეულს ათ თვეში გამოშვებულია 2529 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც საგეგმოს 232 ათას მანეთით აღემატება.

1988 წლის იანვრიდან ქარხანა მუშაობს ახალი სამეურნეო მექანიზმის პირობებში. თვითდაფინანსებაზე გადასვლასთან დაკავშირებით მუშაკთა სამუალო თვიური ხელფასი გაზრდილია 28,5 პროცენტით.

ახლა მიმდინარეობს რეკონსტრუქციის სამუშაოები, რის შედეგადაც უახლოეს წლებში პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 200 პროცენტამდე. გაისად ქარხანა აითვისებს ახალ პროდუქციას — ციტრუსების არომატიზატორებს, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა.

კოლექტივმა იკალდებულა წლის ბოლომდე გამოუშვას 300 ათასი მანეთის ზეგეგმიური პროდუქცია.

პიონერიის მხარეში თბილისში დამთავრდა პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური შეკრება. შეკრების მონაწილეებმა პირველად შეიკრიბეს ერთად პიონერული ზაფხულის შედეგები, რამაც საშუალება მოგვცა მივვეღო რეალური და სრული შთაბეჭდილება პიონერული საქმეების მდგომარეობაზე.

სამი დღის განმავლობაში დისკუსიები, მრგვალი მაგიდები, დასკვნითი კონფერენცია მიმდინარეობდა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პროფსაბჭოს, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით. წამოყენებული პრობლემები ეხებოდა პიონერული ბანაკების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, პიონერხელმძღვანელთა მომზადებისა და გადამზადების მეთოდიკური ცენტრების შექმნას, პიონერული ცხოვრების ორგანიზაციის ახალი პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებას.

შეკრების მონაწილეებმა განაზოგადეს შეძენილი გამოცდილება. იგი აისახება ბრძოლებში, რომლებსაც გამოსცემენ შეკრების მასალების მიხედვით.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე.

საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო.

ჩვენი წინსვლა უძლეველია

სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ბინასამ, როგორ იკრებს ძალას საღღესასწაულო დემონსტრაციაზე? დილაადრიანად შინიდან გასულები ხალხი კოლონებად იკრებენა, უერთდებიან სხვა მძლავრ ნაკადებს და წითელი მოედნისაკენ მეკრთნენ. დღეს, 7 ნოემბერს, ოდესაც ამ შთამბეჭდავ მოძრაობას უყურებ, უნებლიდ ადარებ ამას სამეოთა საზოგადოებაში მიმდინარე დინამიკურ პროცესებს. ეს შეასტა გარდაქმნებაც ფრთოვან ადამიანს მოქმედების გაცდობიერებელი აუცილებლობით, ბაბა ბასება სოციალურ შემოქმედებაში, ამამძიგავი მთელი ხალხი. ჩვენს წინსვლას სწორი და ბოროტი ორიენტირები მისცეს XXVII ყრილობამ და XIX საკავშირო პარტკონფერენციამ. ეს არის დემოკრატიზაცია, გლასნოსტი, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები.

ცვლილებები, რომლებიც ახლა ფილად წარმოჩნდნენ, ეროვნულ კიდეგ დამტკიცებს სოციალისტური ბოვის ცხოველმყოფლობას, მიწერ-ბას, რადგან სწორი არჩევანი ბოვიანდნა 1917-ის ოქტომბერი-ბ, — და ამის დასტურია დღეგ-ფელი ზეიმიც წითელ მოედან-ბ.

ჩვენს დედამიწიანი საზეიმ-ბ არის მორიგი. ისტორიის ბეზეებში შენობიდან საღღესასწაულო მსვლელობის მონაწილეებს ბამოკავშ მრავლისმეტყველი პანო ოქტომბერი ახალი სამყაროს აღ-ბენებლობის დასაბამია". აქვე ბდგან მსოფლიოს პირველი მუ-ბერ-ბეგუბური სახელმწიფოს გრა-ბულ სამბოლოებს — ნამაღლა ბა ეროს, ხუთქიმიან ვარსკვლავს.

„ბ ბ ბ"-ის ფასადზე ცენტრში ბ. ლენინის მონუმენტური პო-ბტრეტი. ილიჩის პორტრეტს ბრეხნე მიჩანს პანო ბრძოლი-ბებს ლოზუნგებით, რომლებ-ბ დღეს განსაკუთრებით აქტუა-ბრად ჟღერს: „1917 — მთელი ლისუფლება საბჭოებს!", „რეკონ-ბიცია", „ბიწა-ალეხბეს". მარჯვ-ბ პანოზე წარმოჩერილი სიტყვები ბმოხატავს ჩვენი ეპოქის არსს: ბარდაქმნა, ინტენსიური, პოლიტი-ბური აზროვნება", „1988 — ყაბმი მოქმედებისა, ყაბმი პრაქტიკული საქმეებისა".

კრემლის გალავანს ამშვენებს 15 მოკავშირე რესპუბლიკის ნაირფერი გერბები. სსრ კავშირის სახელმწიფო გერბის ირგვლივ მათი ერთიანობა სიმბოლურად გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მომბე ხალხთა თანასწორობასა.

ხალხმრავლობაა სასტუმრო ტრიბუნებზე, აქ მოსულან ლენინური პარტიის ვეტერანები, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეები, სამოქალაქო ომსა და დიდი სამამულო ომის გმირები, შრომის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტები, ტრიბუნაზეა დიპლომატიური კორპუსიც.

ტაშით შეეგება წითელი მოედანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ბ. ს. გორბაჩოვი, ვ. ი. ლიგაჩოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ა. ნ. იაკოვლევი, ბ. ბ. ლიგაჩოვი, ვ. ა. ბეგეზოვი, ვ. ბ. ნიკონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. ლიუბიმოვი, ვ. ა. შევარდნაძე, ვ. ბ. ჩებრიკოვი, ა. ბ. ბირიუკოვი, ა. ვ. ვლასოვი, ა. ი. ლუკიანოვი, ი. დ. ბასლიკოვი, ვ. ბ. ტაბაკოვი, ბ. დ. ბაკლანოვი.**

აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

წითელი მოედნის ქვაფენილზე საალღუმი მწყობრად დგანან მოსკოვის გარნიზონის ჯარები.

მაცხოვრის კოშკის კურანტებმა 10 საათი ჩამოკრეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი კ. ა. კოჩეტოვის პატაკს, უელის ჯარებს და ფლოტცალი პაროდის მონაწილეებს დღეასწაულს.

შემდეგ არმიის გენერალი დ. ტ. იაზოვი ადის ტრიბუნაზე და სიტყვას წარმოთქვამს.

ამხანაგ დ. ტ. იაზოვის სიტყვა

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ბატივცემული საზღვარგარეთელი სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ვ ვ ა ვ ი ა ნ ა ბ ბ ბ

საჭადრაკო ხელოვნების ახალი მწვერვალებისაკენ

მაია ჩიბურდანიძისა და ნინა იოსელიანის მსოფლიო საჭადრაკო პირველობის მატჩი ისტორიის კუთვნილებად იქცა. მან კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჭადრაკის, ქართული სპორტის ისტორიაში.

6 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი შეხვდა ამ მატჩის მოგაწილეებს, შესანიშნავ მოჭადრაკეებს, საერთაშორისო დიდოსტატებს მ. გ. ჩიბურდანიძეს და ნ. მ. იოსელიანს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (**ფიდეს**) პრეზიდენტი ფ. კამპომანესი, სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ვ. ი. სეგალოვიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერკეზია, თბილისის მატჩის მოგზეყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ფოფხაძე, სსრ კავშირის სპორტსაბჭომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. გავრილინი, საქართველოს სპორტსაბჭომის თავმჯდომარე ნ. შ. ენდელაძე.

ჯ. ი. პატიაშვილმა ახალი გამარჯვება, მიუღოცა ხუთაზის მსოფლიო ჩემპიონს, აგრეთვე პრეტენდენტს, რომელმაც ამ ბოლო წლებში დიდ პროგრესს მიაღწია, და თქვა, რომ საქართველოს სახელგანგებრივობა ამაოს თავისი შესანიშნავი მოჭადრაკე ქალებით, რომლებსაც მეოთხედ საუკუნეზე მეტი უპარიზო დედამიწის ზურგზე უძლეველნაა ბრძოლაში.

მსოფლიო საჭადრაკო გვიგრავინისათვის გამამთელი მატჩი ეკთიმოსურნეობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროთი მართალაც რომ სამაგალითოა მაღალზნეობრივ ადამიანურ ურთიერთობებში, და არა მარტო სპორტში.

მსოფლიო პირველობის თელავის მატჩი უდავოდ ახალ სტიმულს მიანიჭებს ჭადრაკის შემდგომ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ტრადიციები, რომლებსაც ნონა გაფრინდაშვილმა ჩაუყარა საფუძველი, აიტაცეს მისმა ახალგაზრდა მიმდევრებმა. სწორედ ეს არის თაობათა მემკვიდრეობითობა, რომლითაც ამაყობს მთელი ქვეყანა, რომელიც გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება ქართული საბჭოთა სპორტის სასახელოდ.

შეხვედრაზე მადლობა მოახსენეს **ფიდეს** პრეზიდენტს, რომელმაც ამ პოსტზე ყოფნისას ბევრი რამ იღონა მთელ მსოფლიოში ჭადრაკის პოპულარიზაციისათვის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციისა და სსრ კავშირის სპორტსაბჭომის ხელმძღვანელობას — იმ უურადღებისა და მზრუნველობისათვის, საქართველოს საქადრაკო საზოგადოებრიობას რომ არ აკლებენ.

თავის მხრივ, ფ. კამპომანესმა მადლობა მოახსენა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას — გულთბილი მასპინძლობისათვის, საქართველოში ჭადრაკის განვითარებისადმი უდიდესი ყურადღებისათვის, და აღნიშნა, რომ ჭადრაკის მაღალი დონე შეესაბამება რესპუბლიკის ცხოვრებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მოხმდარ სოციალურ გარდაქმნებს. მან მაღალი შეფასება მისცა ქართველ მოჭადრაკე ქალთა წვლილს მსოფლიო ქალთა ჭადრაკის განვითარებაში, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ უქართველქალებიდან **ფიდეს** საჭადრაკო რუკაზე თვალი ჯერ-ჯერობით ერთადერთია.

ფიდეს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ქებით მოიხსენია თელავის მატჩის ორგანიზაცია, რომლის დონე, მისი აზრით, ყველაზე მაღალ სტანდარტებს შეესაბამება. ეს უკანკნელი მსჯელობის თემა გახდება **ფიდეს** უახლოეს კონგრესზე სალონიკში, სადაც განიხილავენ წინადადებას იმის შესახებ, რომ წარჩინების ნიშნებით დაჯილდოონ არა მარტო მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკენი, არამედ წარახლისონ **ფიდეს** ეგიდით გამართული შეჯიბრებათა საუკეთესო ორგანიზატორებიც. კამპომანესმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს და, კერძოდ, თელავს ყველა საფუძველი აქვთ ამ ჯილდოების პირველ ლაურეატებად გახდომისა.

(სპინფორმი).

ოჯახი

უნდა გავმრავლდეთ!..

დიალოგი მრავალშვილიან მშობლებთან იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო ოჯახის, ერის სიმტკიცისათვის

გასულ ზაფხულს, სიღნაღის რაიონის ახლად გაშენებულ ხორნაბუჯის სოფლად კურთხევის დროს, ხუთოთხთან ორსართულიან ლამაზ სახლში ხალიაშვილები შესახლდნენ. მათ შეეთე შვილი აკვნით მიიყვანეს და ეს სურათიც მაშინ გადაუღეს. ათშვილიან ოჯახს მანცდამაინც დალხინებული ცხოვრება არ ჰქონდა და, ცხადია, უჭირდა. მაგრამ ნათესავი და მეზობელი რის ახლობლები არიან, თუ ახეთ დროს არ შეეშველნენ. ერთმა ტელევიზორი და მაცივარი უყიდა, მეორემ სახადილო ოთახის დიდი მაგიდა თავისი სკამებით, შესაფერ საძინებელი ოთახის გარნიტური უსახსოვრა და ასე გაიცა სახელი არა მარტო ავეჯით, არამედ სიხარულით. სახიხარულო მარტო ის კი არ იყო, რომ ნათესავ-მეზობლებსა და მეგობრებს იმდენი შეეშველათ, რომ მატერიალურად დაეხმარნენ; მთავარი და საგულისხმო ის იყო, რომ ათშვილიანი ოჯახისათვის არაფერი დაეშურეს.

— და თუ ახე მოხდა, — ამბობს ოჯახის მამა ავთანდილი,— იმიტომ, რომ ბევრმა შეიგნო, გამრავლება რომ გვჭირდება. ბოლო დროს ახალდაქორწინებულები სულ უფრო მეტად ფიქრობენ ერის გამრავლებაზე.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ახალგაზრდებს გამრავლების პრობლემა აწუხებთ?

— რა თქმა უნდა, აწუხებთ, როგორ არ აწუხებთ. გამრავლების პრობლემა საკადრისი აღწერის შემდეგ უფრო ნათლად გამოიკვეთება. ჩვენს ახალგაზრდებს უნდა მოგუწოდოთ, ჩვენგანთან, რომ ერის გამრავლება აუცილებელია. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, დემოგრაფიული ცნობები დამაფიქრებელია. ჩვენ ნამდვილად უნდა გავმრავლდეთ. ამ საკმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სტუდენტმა ახალგაზრდებმა. მათ არა მარტო აგიტაცია უნდა გახეონონ, არამედ პირადი მაგალითითაც უნდა დაამტკიცონ, რომ გამრავლებისათვის სერიოზულად ზრუნავენ. თორემ, თითო-ოროლა მრავალშვილიანი ოჯახი ერის გამრავლების საქმეს ვერ უშველის.

— თქვენი მეუღლის, ქალბატონი მედეას აზრია საინტერესო.

— რა უნდა ვთქვა. ჩემს ქმარს მთლიანად ვეთანხმები, — ამბობს მედეა, — მართალია, ბევრს ვეუბნალები, ვიღაცები, მაგრამ ათ შვილს რომ გადაეზიდავ, ნამდვილად მაგიწყდება დალლა. ახა, როგორ არ უნდა მიყვარდეს ჩემი ხიერმოს შვილი ვანო, რომელიც თბილისის კომპროვის სახელმოს სკოლის მეცხრე კლასში სწავლობს. ირმა, ბესიკი, ქეთევანი, თამარი, ზვიადი, მაია, მარინე, ამირანი, ნათია? ხომ არ გგონიათ, მრავალშვილიანობა ჩვენთვის ან შემთხვევითი იყოს, ან სხვა რამ, როგორა ვთქვა, ყვაინტერესებდეს. უბრალოდ მიუყვარს, რომ ოჯახში ბევრი შვილია. ისიც კარგად ვიცი, რომ, როცა დაიზრდებიან, ერთმანეთს არაფერს გაუჭირვებენ. იცით, მრავალშვილიან ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდა უფრო წესიერი და გულიანია, დედისერთების ზრიდან ეგოისტები გამოდიან. ეგოიზმი კი, მოგეხსენებათ, აკაცობის საწყისია. ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობა გვეხმარება, მადლობის მეტი რა გვთქმის...

— გვეხმარება და მერე როგორ, — სიტყვა შეაწყვეტინა ავთანდილმა — ჩვენი უფროსი — წნორის მანქანთმაშენებელი ქარხნის დირექტორი გივი ჯანიაშვილი ყოველმხრივ გვიწყობს ხელს. ხორნაბუჯში ახალი, ორსართულიანი სახლი ხომ მოგვცა რაიონის ხელმძღვანელობამ. დირექტორის წინადადებით კი ქარხანამ ახლად აშენებულ ხუთსართულიან სახლში სამოთახიანი ბინა გამოგვიყო. თუ არ მიწყენენ, სათხოვიც გვაქვს რაიონისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან. იქნებ როგორმე ავტომანქანა „ვოლგა“ გამოგვიყონ, რომ პაპა-ბებიასთან ხშირად, უწყალოდ მივიყვანოთ ხოლმე ჩვენი შვილები. ნათესავებსაც ხომ არ უნდა მოვანატროთ ბავშვები?

— სხვა არაფერ გეხმარებათ?— ვეკითხები ავთანდილს.

— როგორ არა. ჩემი მშობლები, ნათესავები, სხვებიც. ისინი მატერიალურადაც გვეხმარებიან. ამას წინათ ხითხის ეკლესიიდან მამა დავთი იყო ჩვენთან. მას შემდეგ ღვთისმსახურები თვეში 100 მანეთს გვიზავნიან.

უდაბნოდან გაზრდილი ახალგაზრდა ეგოისტია და ხშირად ბორტგასას დაუფიქრებლად სჩადის. ამას წინათ ინაგანში თანატოლმა ახალგაზრდამ მეზობელი ისე მოკლა, თითქოს ქათამი დაეკლა. მე არ გამიგონია, რომ მრავალშვილიანი ოჯახის წევრს ბოროტება, მკვლელობა ჩაედინოს. ბევრი შვილი ოჯახის სიხარული და ერის სიმტკიცის, სიმაგრის საფუძველია. მე ის ქალად არ მიმაჩნია, ვინც ამ ნათქვამს სხვანაირად გაიგებს, ჩემს გულწრფელობაში დაეჭვდება. ანდა იმის მომზეზუნება, რომ პირობები არა გვაქვს, ცხოვრება ჭირსო, რომ ამტკიცებენ ზოგ-ზოგები, განა სწორია? არა, ახეთი ქალები ზარმაცები და უსუფლულონი არიან. პატრიოტიზმის ნასახი ხომ არა აქვთ და არა, სხვებზე — მრავალშვილიანებზე — ჭორაობენ. მეთერთმეტე შვილს ველი. არ ვიცი, ბიჭი იქნება თუ გოგონა, ვიცი, რომ მეთერთმეტე სიხარული მოვა.

— განა ცოტაა იმის მაგალითი, როცა მშობლები (უმთავრესად სოფლელები) წელებზე ფეხს იდგამენ, რომ სიმდიდრე დაგროვონ, მეზობლის ჯინაზე ერთადერთ შვილს სასახლე აუშენონ, ძვირფასი ავტომანქანა უყიდონ და წალმა-უკუღმა აგრალონონ. ამას კი ვერა ხვდებიან, რომ ავკაცობას სჩადიან, შვილს მტრობას უკეთებენ. განა ახეთები ხშირად ავტოსაჯაზო შემთხვევის გამო უშვილძროდ არ რჩებიან? ტუსალად კი არ უთქვამთ, შვილი მტროდად გაზრდე, მოყვრად გამოგადგებიო. ზედმეტი ხელგაშლილობა დანაშაულის ტოლფასი რომ არის, ახეთმა მშობლებმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნონ, — დაასკვნის ავთანდილი.

ბალიაშვილებთან შეხვედრა და საუბარი მართლაც საინტერესოა, ერთის გულთან ცოლ-ქმარია, აქვთ თავიანთი შეხედულება, პოლიტიკურ და სამეურნეო საქმეებთან ერთად ეჩკვევიან და ისიც კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბევრი შვილი არა მარტო ერის გამრავლების საფუძველია, არამედ ამ ქვეყნის სიკეთის, ადამიანთა მოდგმის სულიერად ჩამოყალიბების, წინდა ვრძნობის მასაზრდოებელია.

3. ბოზალიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ე. ბეროშვილის ფოტო.

ვუილცავთ ლაურეატებს!

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წინადადებანი და დადგინეს: 1988 წლის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მიენიჭოს დიდ ჯგუფს. ტექნიკის დარგში ლაურეატთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც, აგრეთვე ჩვენი თანამემამულენი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მუშაობენ.

1. ფრდნონ იასონიტეს ძე თოდუას — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, კიმ ნიკოლოზის ძე ცაცანიდს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის განყოფილების გამგეს.

ფ. თოდუა



კ. ცაცანიდი

2. დავით გიორგის ძე იოსელიანს, იური სამუელის ძე პეტრიაშვილს — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის განყოფილებათა ხელმძღვანელებს.

3. იური ალექსანდრეს ძე ბაბტაძეს, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს მეთოდიური ექსპედიციის პარტიის უფროსს, ვახტანგ ირაკლის ძე ლორთქიფანიძეს, ამავე ექსპედიციის უფროს გეოფიზიკოსს.

4. ედუარდ კონსტანტინეს ძე სიმონიკოვს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების გამგეს, ოთარ კვირიოსის ძე ხუციშვილს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

5. ბორის არნოლდის ძე ალარტოზიას, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის სამთო ინსტიტუტის პრორექტორს.

წვლილი სამედიცინო პრაქტიკაში

სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა აკადემიის ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე ფრიდონ იასონის ძე თოდუა და სამეცნიერო თანამშრომელი კიმ ნიკოლოზის ძე ცაცანიდი სხვა თანამავტორებთან ერთად სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ქირურგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრის პორტალური ჰიპერტენზიის, ნაღველის ბუშტის სადენებისა და პანკრეასის სასწრაფო ქირურგიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კიმ ნიკოლოზის ძე ცაცანიდი სხვა თანამავტორებთან ერთად სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გახდნენ პანკრეატიკასა და მისი გართულებების ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებისათვის. ნამუშევარი პრემიაზე წარადგინა მოსკოვის ნ. ი. პიროგოვის სახელობის მეორე სამედიცინო ინსტიტუტმა.

ფ. თოდუას მიერ მომზადებული ნამუშევრის ერთ-ერთი კარი ეძღვნება მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტების დროს ახალი უსისხლო ქირურგიული ჩარევის შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას. ეს არის ნაკლებად ტრავმატული, ორგანოშემხარუნებელი, პრაქტიკულად „უსისხლო“ ჩარევა. მისმა თანაავტორმა კ. ცაცანიდიმ წამოაყენა მწვავე პანკრეატიკის დროს მკურნალობის ისეთი ვარიანტი, როდესაც ავადმყოფისათვის ნივთიერება შეპყავთ ტკივილის გასაყუჩებლად, და ნელდება პანკრეასის ანთებითი პროცესი.

ფ. თოდუა ზუგდიდის სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, შემდეგ კი შინ დაბრუნდა, სადაც ზუგდიდის რაიონულ საავადმყოფოში მუშაობდა. აქედან იგი მოსკოვში, ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში გადავიდა, ფრიდონ თოდუა ორასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, მას ოთხი რაციონალიზატორული წინადადება და ორი საავტორო მოწმობა აქვს.

კ. ცაცანიდი ქობულეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაღესტნის სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა, შემდეგ კი ყაზახეთის სსრ რესპუბლიკის საბჭოთა რაიონის მთავარ ექიმად და საავადმყოფოს ქირურგიის განყოფილების გამგედ მუშაობდა. სხვადასხვა დროს უმუშავია ჭ. ნალჩიკის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ქალაქ პრობლადნის საავადმყოფოს მთავარ ექიმად და ქირურგიის განყოფილების გამგედ. კიმ ცაცანიდი სამშობიაროდ გაგზავნილი იყო მონღოლეთში, სადაც ასევე ქირურგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1957 წლიდან მოსკოვში მუშაობს.

ჯანმრთელობის სადარაჯოზე

დ. იოსელიანი

ი. პეტროსიანი

გულის იშემიურ დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის მეთოდების კლინიკურ პრაქტიკაში დამუშავებისა და დანერგვისათვის სხვა თანაავტორებთან ერთად სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის კორონაროული სისხლის მიმოქცევის დარღვევისა და მისი გართულებების ინტენსიური თერაპიის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ დავით გიორგის ძე იოსელიანს და ამავე ინსტიტუტის გულ-სისხლძარღვთა დაავადების რენტგენულ-ქირურგიული მეთოდების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, რუსეთის სფსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ იური სამუელის ძე პეტროსიანს.

დ. იოსელიანის დიდი დამსახურებაა სამეცნიერო-პრაქტიკული კომპლექსის შექმნა, რომელიც სპეციალიზებულ დახმარებას უწევს გულის იშემიით დაავადებულებს.

ი. პეტროსიანმა სამამულო ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში დანერგა სელექციური კორონაროგრაფიის მეთოდი, გულის იშემიური დაავადებისა და კორონარულ არტერიათა თანდაყოლილი ანომალიის დროს.

დავით იოსელიანმა დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, 1971 წლიდან მუშაობს ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც გიიჩა გზა რიგითი ექიმიდან განყოფილების გამგემდე. იგი ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, აქტიური სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობას ეწევა. ახალგაზრდა სპეციალისტთა და მეცნიერთა საბჭოს წევრი, საკავშირო ალკ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარეა. არჩეულია კუბის კარდიოლოგთა საზოგადოების წევრ-კორესპონდენტადაც.

იური პეტროსიანმაც თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და სამუშაოდ დატოვეს ოპერატიული ქირურგიის კათედრაზე. 1949-1957 წლებში იგი ქირურგად მუშაობდა საბჭოთა არმიის ჰოსპიტალებში. დემობილიზაციის შემდეგ შედის ახლად გახსნილ გულმკერდის ქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში (ამჟამ. სფ. ინსტიტუტი). 1960 წლიდან სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტს). ი. პეტროსიანი სამასამდე სამეცნიერო შრომის ავტორია.

ინტეგრაციის გზით



ე. სიტნიკოვი



ო. ზომერიკი

ნანოელექტრონიკის მაგნიტურსამართავი ხელსაწყოების ფიზიკური საფუძვლების კვლევის, შემუშავებისა და სერიული წარმოების ორგანიზაციისათვის სხვა თანაავტორებთან ერთად სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გახდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების გამგე ეფუარდ სიტნიკოვი და ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრონულ-სამედიცინო აპარატურის კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ზომერიკი.

ნაშრომი მოიცავს სამეცნიერო გამოკვლევათა კომპლექსს ფიზიკის დარგში, მაგნეტურ-ელექტრული ხელსაწყოების ტექნოლოგიაში, სქემოტექნიკაში, საკდელ-საკოსტრუქტორო ნამუშევრებს და ოონისძიებებს სახალხო მეურნეობაში ამ ხელსაწყოების დანერგვისათვის. ამრიგად, ნაშუშევრის საბოლოო შედეგი მიღწეულია მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ინტეგრაციის საფუძველზე. მის საერთო შედეგს წარმოადგენს მაგნიტურსამართავი ხელსაწყოების, ელექტრონული ტექნიკის ნაკეთობათა ახალი კლასის დამუშავება, სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში მათი ფართო დანერგვა, მაგნიტური ელექტროტექნიკის — ახალი სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულების ფორმირება.

ე. სიტნიკოვი შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1944 წელს, როცა საზღვინკო სასწავლებლის კურსი დასრულა. თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მონაწილეობდა უკრაინაში აღდგენით სამშენებლო სამუშაობებზე და აჯახიანეთის ყამრის რაიონებში რკინიგზის მშენებლობაზე. 1958 წელს ე. სიტნიკოვმა მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, სადაც სამართავი სისტემის ინსტიტუტის ინჟინრად და მთავარ ინჟინრად მუშაობდა. 1974 წლიდან დღემდე მუშაობს სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში. 1981 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია, 1986 წელს კი „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ წოდება.

ო. ზომერიკმა, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, 1949 წელს დაამთავრა ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტროიკოსის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1961 წლამდე მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში. 1961 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა მართვის სისტემების ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1983 წლიდან საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრონულ-სამედიცინო აპარატურის კათედრის გამგეა.

პირველად მსოფლიო პრაქტიკაში

ბ. ალარტოზია

რთულ ჰიდროლოგიურ პირობებში მთის ქანების დაბალ ტემპერატურაზე გაყინვის მართული პროცესების გამოყენებით, მიღებულია ჯეერების მშენებლობის ტექნოლოგიის დამუშავებისა და დანერგვისათვის სხვა თანაავტორებთან ერთად სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბორის კარტოზია. ნაშრომი წარმოადგინა სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრომ.

პირველად მსოფლიო პრაქტიკაში დამუშავდა ეირტიკალური ჯეერების მშენებლობა ახალი ტექნოლოგიის დანერგვითა და განსაკუთრებით რთული ჰიდროლოგიურ პირობებში მთის ქანების დაბალ ტემპერატურაზე გაყინვა (-40 ცელსიუსით).

ბორის კარტოზია მოსკოვის სამთო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მეტროშენში. შემდეგ კი კვლავ უბრუნდება ინსტიტუტს, სადაც დღესაც ეშვა დიდ და ნაყოფიერ მუშაობას.

ახალი ეფექტიანი ტექნოლოგია

ვ. ლორთქიფანიძე და ი. ბაბტაძე

მინერალური რესურსების პროგნოზირების ადამიან-მანქანური ტექნოლოგიის თეორიული კვლევისათვის, შემუშავებისათვის და სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის სხვა თანაავტორებთან ერთად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გახდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1970 წლიდან დღემდე საქართველოს გეოლოგიის სამმართველოში მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე.

ვ. ლორთქიფანიძემ 1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1977 წლიდან დღემდე საქართველოს გეოლოგიის სამმართველოში მუშაობს.

ნინა ალექსანდრეს ასული ბაბტაძე 1969 წელს დამთავრა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1970 წლიდან დღემდე საქართველოს გეოლოგიის სამმართველოში მუშაობს სხვადასხვა თანამდებობაზე.

ვ. ლორთქიფანიძემ 1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1977 წლიდან დღემდე საქართველოს გეოლოგიის სამმართველოში მუშაობს.

მადლი შრომისა

შანტაჟია ოჯახური დინასტია

საუკეთესო მეშახტე? როგორ არა, ასეთები ჩვენთან ძალიან ბევრია, მაგრამ მათ შორის მინიც ყველასაგან გამოირჩევიან ძმები ჯაველიძეები, — მითხრა ელ. მინდელის სახელობის შახტის დირექტორმა, ახალგაზრდა სამთო ინჟინერმა ჯ. არაბიძემ და ერთ ჩასკვნელ, ალეტეტური აგებულების შავგვრემან ახალგაზრდაზე მიმითითა და თან დასძინა: იცნობდეთ — შაორონ ჯავახიძეა.

მას მეშახტის ტანსაცმელი ეცვა, ქუდზე მეშახტის ნათელი ჭქონდა მიმაგრებული და უბნის უფროსს მიეცმოულ განრიგს გულმოდგინედ ინიშნავდა ბლოკნოტში. ჩემი ეს ახალი ნაცნობი შესანიშნავი მოსაუბრე გამოდგა. ლაპარაკი თავიდანვე საქმიანად წარიმართა, შეეეხეთ შახტის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს. მტკივნეულ, მოსაგვარებელ საკითხებს. ეუსმენდი მას და გულს საამოვნებდა. ახალგაზრდა საქმის ცოდნით მსჯელობდა მშობლიურ საწარმოზე, მეთორმეტე ხუთწლიიან პერსპექტივებზე, გარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგიაზე, თავის შემოქმედებითს შრომითს საქმიანობაზე. მეშახტეთა ქალაქში — ტყიბულის მშრომელები კარგად იცნობენ ჯავახიძეების მუშურ დინასტიას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ დაამკვიდრა შახტში. ეს შესანიშნავი დინასტია თაობებიდან თაობას გადასცემს შრომითს ესტაფეტას, მუშურ ტრადიციებს.

დინასტიის ფუძემდებელმა, ამჟამად შენსიორებმა, ბრეიფელი ბლეხის შვილმა უშანგი ჯავახიძემ რამდენიმე ათეული წელი ინუშავა მიწისქვეშა სანგრევში, ბოლო ათი წელი ხელმძღვანელობდა უშანგი გვრიალგამყანათა ინ ბრიგადას, რომელიც ახალ, მეშვიბარე-„ალმოსალელთ-2“ — შახტში დიდ სიძნელეთა გადალახვის გზით მიიწევდა მიწისქვეშა საუნჯისაკენ. მიაღწია კიდეც მიზანს. მისმა ბრიგადამ ამ ორმოცი წლის წინათ ერთ-ერთმა პირველმა გადაკვეთა ქვანახშირის საუკუნოვანი ფენები და მიწის ზედაპირზე ამოიტანა პირველი ტონა „მრეწველობის პური“. ღრმა სამთო ჰორიზონტების გაყვანის, ძლიერ სტიქიასთან ბრძოლის დაუოკებელი სურვილი მატებდა ძალსა და ენერგიას დინასტიის სახელოვან მეთაურს. ამტკიცა, რა გასაკვირია თუ ოთხი ეაკეშვილი თავის გაკვლეულ გზაზე დაადგა. სამი მაგალი ახლა ყველაზე ახალგაზრდა ე. მინდელის სახელობის შახტაში, მეორე საექსპლოატაციო უბანში შრომობს.

დინასტიის უფროსმა ვაჟმა — ნუგზარმა თავიდანვე მამასთან ერთად სანგრევში დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ მეოთხეცი საუკუნეა, რაც ნუგზარი ეაკეკაცურად ეჭიჭნება ქვანახშირის ფენებს და ხუნებასთან ჭიდილში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

შესანიშნავი ოჯახი შემმნა ნუგზარმა. მისი მეუღლე ფაცო შახტის საალმაჯი განყოფილებაში მუშაობს ნათურის გამწყობად. მისი გაწყობილი ნათურა ყოველთვის სანმდეო, კარგ მეგზურობას უწევს მეშახტეებს მიწისქვეშა სანგრევში. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ფაცოს გაწყობილ ნათურას მეშახტისათვის ეღალატოს, იგი მიწისქვეშეთში, სინბნელეში მიეტოვებინოს. ორი შვილი, ქალ-ვაჟი გაზაბრდეს ნუგზარმა და ფაცომ. მისმა ქალიშვილმა უკვე სამუალო სასწავლებელი დაამთავრა. ვაჟი მალაზიაში საშუალო სკოლის ბოლო კლასში სწავლობს და აქედანვე მამის სახელოვან პროფესიაზე ოცნებობს.

შესანიშნავ სამოთახიან ბინაში ცხოვრობს ნუგზარის ოჯახი. შახტის ადმინისტრაციამ მას უკვე შახტთან ახლოს მდებარე სახლში მისცა ბინა, დაეზარა ახალი ოჯახი ერის გამრავლების საქმეს ვერ უშველის.

— თქვენი მეუღლის, ქალბატონი მედეას აზრია საინტერესო.

— რა უნდა ვთქვა. ჩემს ქმარს მთლიანად ვეთანხმები, — ამბობს მედეა, — მართალია, ბევრს ვეუბნალები, ვიღაცები, მაგრამ ათ შვილს რომ გადაეზიდავ, ნამდვილად მაგიწყდება დალლა. ახა, როგორ არ უნდა მიყვარდეს ჩემი ხიერმოს შვილი ვანო, რომელიც თბილისის კომპროვის სახელმოს სკოლის მეცხრე კლასში სწავლობს. ირმა, ბესიკი, ქეთევანი, თამარი, ზვიადი, მაია, მარინე, ამირანი, ნათია? ხომ არ გგონიათ, მრავალშვილიანობა ჩვენთვის ან შემთხვევითი იყოს, ან სხვა რამ, როგორა ვთქვა, ყვაინტერესებდეს. უბრალოდ მიუყვარს, რომ ოჯახში ბევრი შვილია. ისიც კარგად ვიცი, რომ, როცა დაიზრდებიან, ერ



თბილისი, 1988 წლის 7 ნოემბერი. ცენტრალური. ტრიბუნა.

საქინფორმის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუციურ გარდაქმნას — შევუწყოთ რევოლუციური ნაბიჯი

სამხედრო პარადი და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

ოქტომბრის ყოველი დღესასწაული ჩვენი ცხოვრების, ჩვენი საზოგადოების გარკვეული შეჯამება ან ეტაპის დასაწყისია. რას ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდათერთმეტი წელი: გამოცდილა სასახელო და ძნელი გზა, ... ბევრ გვიძევს ძნელი და პასუხსაგები გზა.

ჩვენ რევოლუციას, ისევე როგორც გარდაქმნას, შევუდექით იმ რწმენასით, რომ ისტორიულად ... ...



საქართველო: სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი. 1988. წლის 7 ნოემბერი; დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონებში.
საქინფორმის ფოტო.

რესპუბლიკა: განახლების კურსით

სოხუმი

რაიონული ცენტრის ყველაზე პატარა მცხოვრებლებისათვის, და არა მარტო მათთვის, იზიარეს ოჩამჩირელმა მშენებლებმა, რომლებმაც ოქტომბრის წინ ერთბაშად სამი სამაგვრო ბაღი ჩააბარეს. ამით მათ შეამსუბუქეს თითქმის 500 ახალგაზრდა დედის ცხოვრება. დღესასწაულის წინ თავი გამოიჩინეს ტყვარჩელელმა მშენებლებმაც. მაღაროელებსა და ენერგეტიკოსებს ვადაზე სამი თვით ადრე გადასცეს ორი ორმოყადახუთბინიანი სახლი.

ასე პუნქტ-პუნქტად სრულდება აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში სოციალურ-კულტურული განვითარების გეგმები. გარდაქმნის პირობებში მუშაობა, ეკონომიური რეფორმის რეალიზაცია მათ შესაძლებლობას აძლევს ბინების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, გამჯანსაღებელი ბაზების, კლუბებისა და საკაჭრო ცენტრების მშენებლობისათვის გამოყოფ მნიშვნელოვანი სახსრები. უკანასკნელი წლების მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში საკაპიტალიაციოდ გადაეცა 1.013 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები, აღებულია ბარაკის ტიპის ნაგებობანი, საიდანაც ეთილმოწყობილ ბინებში შესახლეს 4.570 ოჯახი.

ეს, დღესაც სოხუმში მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის ძირითადად შინაარსი გახდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომში განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობა. განვლილ ათწლეულში შესაძრნევად გაბარი ავტონომიური რესპუბლიკის საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალი. ერთ-ნახევარჯერ და მეტად იმატა სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ, სამჯერ მეტ უშვებს სახალხო მოხმარების საქონელს.

აფხაზთა კლასთან ერთად სამშობლოს! სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში თავიანთი წარმატებების შესახებ საყოველთაო-სახალხო ზეიმზე უპატაჟებს მშრომელი გლეხობაც. წელს დამზადებულია 120 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლა, რომელიც გაუმჯობესებული ხარისხით გამოირჩევა. შემოდგომის დამლეგისათვის ავტონომიური რესპუბლიკა 100 ათას ტონაზე მეტ მანდარინს, ლიმონსა და ფორთოხალს ჩააბარებს. სოფლად ოჯახური, კოლეკტიური და არენდული ყანრის დანერგვის კვალობაზე 40 პროცენტითა და მეტად გაიზარდა ხორცის, რძის და ფრინველის წარმოება.

წარმატებით სრულდება აფხაზეთში ეკონომიკის, ტურიზმის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების გრძელვადიანი პროგრამა.

აფხაზეთის მშრომელებთან ერთად ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობდა შავიზღვისპირეთის ჯანმრთელობის კურორტში დასასვენებლად ჩამოსული მრავალი ტურისტი.

ბათუმი

ლენინის მოედანზე დემონსტრანტთა პირველ კოლონაშია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივი. აი, უკვე მეორე წელია ზღვის მშრომელები სოფელი სამეურნეო ახგარშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობენ. გაისმის შეძახილები მათი ახალი გამარჯვების ღისანიშნავად: საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ მესამე კვარტალია კოლექტივი ჯილდოვდება საზღვაო ფლოტის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაფრდამავალი წითელი დროშით.

საზღვარგარეთ ნაოსნობაში ტვირთზიდვის საბერძნეთი შეკვეთა 106 პროცენტით შესრულა, ბოსფორზე, ფასიანი მომსახურების მოცულობის ხაზით— 105 პროცენტით. დაკალების გადაჭარბებით მიღებული 4,5 მილიონი მანეთის ეკონომია ამონაგები. ასეთ წარმატებას სანაოსნოს კოლექტივი უშინაურს ყოველსა, უნდა უმადლოდეს შეჯიბრების მეწინავეებს — ობომაკლების „საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წლისთვის“, „თბილისის“, „მარშალ გელოვანის“, „ბათუმის“, „დავით ბაქრაძის“, „ილია ჭავჭავაძის“, „დავით გურამიშვილის“, „სოხუმის“, „ნატო ვაჩნაძის“, „აკადემიკოს ვეკუას“ ეკიპაჟებს.

მათ არ ჩამორჩენა ბათუმის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი საზღვაო ნავსადგურის კოლექტივიც, რომელსაც 110 წელი შეესრულდა. 1905-1907 წლების რევოლუციის ხანაში, დაუვიწყარ 1917 წელს, უცნოეთის ინტერვენციის, მენშევიკთა მართვა-გამგეობის პერიოდში ნავსადგურის მუშები თავდადებით იბრძოდნენ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. დიდი სამამულო ომის დროს ბათუმის ნავსადგურიდან იგზავნებოდა გემები ჯარისკაცებთან და სამხედრო ტვირთით. აქ იღებდნენ სანტარიელ ტანსპორტს დაჭრილებითურთ, თავშესაფარს პოულობდნენ ბრძოლებში დაზიანებული ხომალდები. დღეს განახლდა, გალამაზდა ნავსადგური, ახალი ნავმისადგომები, თანამედროვე ტექნიკა შესაძლებლობას აძლევს ოპერატიულად გადაამუშაოს ყველაფერი. ცხრა თვეში აქ თითქმის 19 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამდენითვე შემცირდა ტვირთის გადამუშავების თვითღირებულება. კონნიერი სიამაყის გრძნობით მენავსადგურეები დემონსტრაციაზე წარმოიდგენენ დოკერ-მექანიკატორთა სამეურნეოანგარიშიანი კომპლექსური ბრიგადის წევრები ნუგზარ ორბელაძის მეთაურობით, მოწინავე სპეციალისტები გურამ ყახიძე, რომან კობახიძე და სხვები.

დიახ, მშრომელ ქალაქს ბევრი რამ აქვს, რაც შეუძლია მოახსენოს ოქტომბრის დღესასწაულს.

ცხინვალი

ჯადაბარი ტრიტეარებითა და ეკეზებით მოფენა ბევრ მშრომელს ავტონომიური ოლქის ცენტრში მისელა, რათა მონაწილეობა მიეღო სადღესასწაულო დემონსტრაციაში. მაგრამ ამის ქალაქის მცხოვრებთა უკმაყოფილება არ გამოუწვეია. ცხინვალში მიმდინარეობს წყალსადენის სისტემის ძირეული რეკონსტრუქცია, რომელმაც ახლო წარსულში ბევრი უბედურება მოუტანა. ამავე დროს სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ედის-ჯავა-ცხინვალის წყალსადენის გაყვანა, რომლის ამოქმედების შემდეგ ქალაქისა და ახლომდებარე დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნებიან სასმელი წყლით. უკვე წლის დამლეგისათვის წყალსადენი რაიონულ ცენტრ ჯავას მიაღწევს, გაისად კი ცხინვალს.

დასახულის რეალობაში ეკვი არავის ეპარება — ყოველ შაბათს სარეწველო საწარმოთა, სხვადასხვა ორგანიზაციის მშრომელები დადიან წყალსადენის მშენებლობის ტრასაზე და აკეთებენ მოწიწიერებას ოფიციალურ ეტაპზე ამ ეროვნული ეკონომიკური ღონისძიების ბედისადმი. ამ ბრიგადებს ეკუთვნის ბ. ბ. ეფიხაძე, ცხინვალი — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ა. ჩეზოევი, ბათუმი — პარტიის ოქტომბრის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ. ალფეროვი, ბათუმი — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბ. ეფიხაძე, ცხინვალი — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ა. ჩეზოევი, ქუთაისი — პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ვ. ლორეფანიძე.

(საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ბრძოლებში ნაწრთობი მეგობრობა

● **დღეს** სამამულო ომის აქტიურ მონაწილეს, ტყიბულის მეკავდრს გ. მიქიაშვილს, რომელმაც ჩრდილოეთ იტალიაში დაამთავრა ომი, ეტაპებრ 9 იტალიელი პარტიზანი, თვალსაჩინო ნელილი რომ შეიტანეს ფაშისტი ოკუპანტების განადგურებასა და ქვეყნად მშვიდობის დამკვიდრებაში.

იტალიელმა სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლი ნიკორწმინდა, ყოფილი პარტიზანები მოხიბლა ქართული ორნამენტების სილამაზეზე, ნატიფმა ხელოვნებამ.

ტყიბულის საბრძოლო დიდების მუზეუმისათვის სტუმრების მიერ გადაცემულ მრავალ ექსპონატთა შორის განსაკუთრებული მოწონება ნოლად ხედა გახეთ „ჩუნტანეი“ უნიტას“ ომისდროინდელ ნომრებს, სადაც შთამბეჭდავადაა მოთხრობილი იტალიის მინა-წყალზე ქართველ პატრიოტთა საბრძოლო შემართების შესახებ.

ცოლ-ქმარმა ლანდა და იტალო კანნებმა ქართველ თანამებრძოლს საჩუქრად უძღვნეს უკანასკნელ ლითონზე ამოტვიფრული პარტიზანის სახე, რომელიც მოუწოდებს: „ჩემი სახელით ნინ, თავისუფლებისათვის!“.. ქვეშ კი ასეთი ნარნერა აქვს: „პოუმონტეს პარტიზანი გივი მიქიაშვილი, 1988“.

ეს არის მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველი პარტიზანების ბრძოლების ნამდვილი აღიარების დასტური. ამ სიტყვებით ჩაიბარა გ. მიქიაშვილმა იტალიელი მეგობრებისაგან შოძღვნილი სუვენირი.

სინელილი თეატრი ეფსიქიკაში

● **ეროპელი** ქვეყნის მაყურებელმა ინტერესით ნახა სილიანის სახალხო თეატრის სპექტაკლი „ცა რომ სარკე იყოს“ (ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა ინსცენირების ავტორია გ. ბათიაშვილი). აკადემიად სიღნაღელები მეექვსეში იყვნენ რეგიონულ ფესტივალზე, იგი ზღვისპირა ქალაქ ტამპიკოში გაიმართა. როგორც სპექტაკლის დამდგმელმა მ. ვაშაკიძემ თქვა, სახალხო თეატრი მეექვსელებმა მაა შემდეგ მიიწვიეს, როცა კანადაში ნახეს სინელილელთა ნამუშევარი.

გაისად აპრილში თეატრი ამავე სპექტაკლით წარსდგება მსოფლიო ასოციაცია „პიტას“ მოწაფილე ქვეყნების ფესტივალზე.

ლეგენდა, ლეგენდა...

ამერიკაში სერიით „ქართული კულტურის მოღვაწენი მეგობრულ ქარეგებში“ გამოვიდა მეგობრული ქარეგების ნაკრები ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის შესახებ (გამომცემლობა „განათლება“, რედაქტორი ო. შალამბერიძე).

კრებულის შემდგენლები არიან თამილა და დავით ბუზუკაშვილები. გარეკანზე მოთავსებულია გ. ფირცხალავას ნახატი „ნოდარ დუმბაძე“.

„დუმბაძისეული იუმორის ფენომენი გულგრილს არავის ტოვებს არც ჩვენში და არც ცხრა მთას იქით... პოდა, რა გასაკვირია, რომ ამ მწერლის შემოქმედებითა და პირადი ცხოვრებით ესოდენ ფაროთად დაინტერესდნენ თავად იუმორისა და სატირის უერთგულესი მსახურნი — მხატვრები და სალაღობო ლექსების მთხზველნი“ — ვკითხულობთ ანოტაციაში.

ეს კრებული იმის დასტურიც გახლავთ, თუ რამდენად პოპულარული პიროვნება იყო ნოდარ დუმბაძე. გარდა შარჟებისა, აქ შეგნანილია აგრეთვე ნანყვეტები ქართველ მოღვაწეთა სტატიებიდან, მცირე იუმორისტული მოგონებები. თვით მწერლის ლიმილიანი გამონათქვამები.

რუბრიკისათვის ი ს გამოყენებულ ი ი ა სკკ ლენინის, საქინფორმისა და „კომუნისტის“ კორესპონდენტთა მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარად ჩვენი თანამედროვე

ილიას ფოტომატიანე

ქართველმა ხალხმა, ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკებმა, საზღვარგარეთის ცნობილმა მეცნიერებმა და მწერლებმა მარშან დიდი ზეიმით აღნიშნეს ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი. ეს იყო მეშვიდეთა ეროვნული დღესასწაული, რომლის ექო დღესაც გრძელდება. ამ ზეიმმა ერთხელ კიდევ ნათლად წარმოაჩინა დიდი ილიას როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

8 ნოემბერი (27 ოქტომბერი ძველი სტილით) — ილიას დაბადების დღეა. ეს თარიღი მნიშვნელოვანი მოვლენაა ერის სულიერ ცხოვრებაში, რადგან იგი დაკავშირებულია იმ ადამიანის სახელთან, ვინაც საშობლოს, მშობელი ხალხის მსახურები თავის უზენაეს მოვალეობად მიიჩნია და ამ მსახურებას შეალია უმდიდრესი შემოქმედება და თვით სიცოცხლეც.

გადის წლები, ათწლეულები, იცვლება თაობები, ილია კი მარად ჩვენი თანამედროვეა, რადგან მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და ლიტერატურული მემკვიდრეობა ის ამოუწურავი სიმდიდრეა, რომელიც მარადიულს ერის სულიერი ცხოვრების მასაზრდოებელი იქნება.

ყოველი წიგნი, იქნება ეს თვით დიდი მწერლის თხზულებათა ტომეულები, თუ მკვლევართა ნაშრომები საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. ასე მიიღო მკითხველმა საიუბილეო გამოცემები, რომელთა დასტამბვა დღემდე გრძელდება.

ერთ-ერთი მთავარია პროფესორ გურამ შარაძის წიგნი „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება. ფოტომატიანები“, რომლის პირველი ტომი უკვე მიიღეს ხელისმოწერლებმა. ახლა გამოსაცემად მზადაა მეორე ტომი, რომელიც წლის ბოლოს ან ახალი წლის პირველ დღეებში გამოვა.

საქინფორმის კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა გურამ შარაძეს, უამბოს მკითხველებს მეორე ტომის ზოგიერთ მასალაზე.

— წიგნი სამოცზე მეტ თაბახს შეიცავს, — თქვა წიგნის ავტორმა. — მასში ასახულია ილიას ცხოვრების გზა 1886 წლიდან — „იავერიის“ გაზეთად გადაკეთებიდან 1907 წლამდე — პოეტის ტრაგიკული დაღუპვამდეს.

ტომში პირველად ქვეყნდება ბევრი ისეთი მასალა, რომლებიც ეხება ილიას უმდიდრესი შემოქმედების ნაკლებად ცნობილ მხარეებს. ერთ-ერთი მთავარია ილიას დამოკიდებულება მუსიკისადმი, რომლის შესახებაც დღემდე ლიტერატურაში არაუსტი მოსაზრება იყო დამკვიდრებული. ფართო ადგილი უჭირავს იმ ფაქტს, რომ ილიას „იავერია“ უდიდეს ყურადღებას უთმობდა მუსიკალური ცხოვრების საკითხთა გაშუქებას, რომ აღარაფერი ვთქვათ დიდი რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის შემოქმედებაზე, რომელსაც ილია უაღრესად აფასებდა. ევროპული და რუსული მუსიკისადმი თვით ილიას შეეფერებინ ინტერესს მოწმობს მის პირად ბიბლიოთეკაში დაცული რუსი მუსიკისმცოდნეების ს. ბეზონოვისა და მ. დავიდოვას წიგნები „ეგზეფირი“ და „მოცარტი“. ეს უკანასკნელი თვით ავტორს მოუძღვნია ილიასთვის ეწარეთოს:

„თავად ილია ჭავჭავაძეს პატივისცემის ნიშნად ავტორისაგან. 8 ნოემბერი, 1891 წელი, პეტერბურგი“. წიგნში ღიგს მუსიკისმცოდნე ქალის ილიასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსის ავტოგრაფი.

პოეტის არქივში პირველად მოვაკლეთ მოცარტის, ჰენდელის, ჰაიდნის, როსინის, ბახის, გლინკის პორტრეტებს, რომლებსაც ილია კარებდა, ხოლო პოეტის წერილში „ქართული ხალხური მუსიკა“ იგი იმოწმებს ბახის, ბეთჰოვენის, მოცარტის სიმფონიებს.

ტომში განხილულია ილიას მოღვაწეობა გაზეთი „იავერიის“ რედაქციაში (1886-1901 წწ.), ამ პერიოდში შექმნილი მისი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები. ერთ-ერთ თავში „ილიას ცხოვრების ქრონიკები“ გაშუქებულია ბევრი საინტერესო მომენტი. იბეჭდება მასალები იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულეს ილიამ ეროვნულ ბანკის ეროვნულ ბანკად ფორმირებაში. ბოლოს, ეროვნული ბანკის ბუნებრივ ბოლოს, ბოლოს, ბოლოს,